საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბესარიონ ალავიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 18.11.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ბესარიონ ალავიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 25 პირი, მათ შორის - ბესარიონ ალავიძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის

მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

I. <u>ინფორმაცია კანდიდატის შესახებ</u>

ასაკი: **45 წლის**

დაბადების თარიღი: **25 ივნისი, 1976წ.**

განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ)

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **22 წელი**

სამუშაო ადგილი: ყოფილი მოსამართლე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა)

<u>II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ბესარიონ ალავიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

<u>1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიულ კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, გულისხმიერებას, გაწონასწორებულობას, კოლეგიალურობას, პრინციპულობას, სიახლეებისადმი დაინტერესებას, დასაბუთების გასაგებ და ცხად უნარს, კომპეტენციის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას, კორექტულობას, შეუვალობას, სამართლიანობას და სხვა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ბესარიონ ალავიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხები და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 7 იანვრიდან 2021 წლის 7 იანვრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები:

  - ასკ-ის 125^2.1 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე სატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა. ჯარიმა 10 ლარი, 1 შემთხვევა)
  - ასკ-ის 125.1 მუხლი (სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა. ჯარიმა 50 ლარი, 1 შემთხვევა);
  - ასკ-ის 125.10 მუხლი (ამ მუხლის მე-6, 6^2 და მე-7, მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება. ჯარიმა 250 ლარი, 1 შემთხვევა).

  აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

მოძიებული ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით:

- კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა ადმინისტრაციულ საქმეში (დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ბესარიონ ალავიძის მიმართ არ მოიპოვება ინფორმაცია დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით.

კანდიდატის მხრიდან კოლეგების ან გარეშე პირთა მიმართ არაეთიკური ქცევა არ გამოვლენილა, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ

ძალიან კარგად, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3.2$ მუხლით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გავეცანი ბესარიონ ალავიძის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებს შემდეგ საქმეებზე:

- საქმე Nას-677-638-2011, 24.09.2012წ., დავის საგანი-გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება;
- საქმე Nას-1701-1685-2011, 22.10.2012წ., დავის საგანი-თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია;
- საქმე Nას-979-940-2014, 10.09.2015წ., დავის საგანი-ზიანის ანაზღაურება;
- საქმე Nას-319-302-2017, 28.07.2017წ., დავის საგანი-ზიანის ანაზღაურება;
- საქმე Nას-85-81-2017, 27.10.2017წ., დავის საგანი - შვილთან და შვილიშვილთან ურთიერთობის წესის დადგენა (ძირითად სარჩელში), მამობის გაუქმება, დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა (შეგებებულ სარჩელში);

- საქმე Nას-1109-2018, 13.05.2019წ., დავის საგანი - შრომითი ურთიერთობის მოშლის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, კომპენსაციისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა;
- საქმე Nას-705-705-2018, 23.12.2019წ., დავის საგანი - ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა;
- საქმე Nას-259-259-2018, 30.06.2020წ., დავის საგანი - სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;
- საქმე Nას-877-2019, 03.07.2020წ., დავის საგანი - ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, ემყარება საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს, მსჯელობა წარმოდგენილია ლოგიკურად და მწყობრად.

კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებზე; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 დამატებით ოქმზე; გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებს.

კანდიდატმა იმსჯელა მის მიერ მიღებულ პრეცენდენტულ გადაწყვეტილებებზე; არბიტრაჟსა და მედიაციის თავისებურებებსა და მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე; ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებაზე; ხუმრობით დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებზე; გარიგების კონვერსიასა და გარიგების დადასტურებაზე; შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპზე; სუბროგაციისა და რეგრესის თავისებურებებზე სადაზღვევო სამართალში; მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე;

კანდიდატმა გასაუბრების პროცესში არ განავრცო მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელიც შეეხებოდა: საარბიტრაჟო წარმოების პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საგამონაკლისო შემთხვევებს; ადმინისტრაციული სამართალწარმოების განახლების საფუძვლებს; საბანკო გარანტიის თავისებურებებს; გენდერული დისკრიმინაციის თავისებურებებს; ოქროს ხიდის თეორიას; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ადმინისტრაციულ დავებზე გავრცელების კრიტერიუმებს; თვითგამორკვევის უფლებას; არ ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე;

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 17 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ბესარიონ ალავიძის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების ხანგრძლივობა არის 12 წელი, რაც მიუთითებს კანდიდატის გამოცდილებაზე. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულია ლოგიკური მსჯელობა, ყველა საკვანძო საკითხზე გაცემულია სრული და ამომწურავი პასუხი, გადაწყვეტილებები არის ნათელი და გასაგები, დაცულია გადაწყვეტილებების წერის სტრუქტურა

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

როგორც აღინიშნა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში განვითარებულია ლოგიკური მსჯელობა, გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული, სისტემაზე დაფუძნებული და მარტივად აღქმადი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ბესარიონ ალავიძე აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, მისი მსჯელობა არის ლოგიკური და მწყობრი, გააჩნია მოსმენის კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის პირველი იანვრიდან - 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში, ბესარიონ ალავიძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საანგარიშო პერიოდში ბესარიონ ალავიძის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 872. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო და განიხილა 174 კერძო საჩივარი, 77 შუამდგომლობა, 14 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, 14 საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და 9 განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.
- აღნიშნულ პერიოდში ბესარიონ ალავიძემ განიხილა 18 სისხლის სამართლის საქმე და 1 ადმინისტრაციული პალატის საქმე.

- საერთო ჯამში, ბესარიონ ალავიძის საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 956 დღეში დასრულებული აქვს 1181 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე), რაც არის კარგი მაჩვენებელია.

მითითებული მონაცემების გათვალისწინებით, მაქვს საფუძველი, აღნიშნულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძის მხრიდან ფიქსირდება სემინარებში მონაწილეობის მაღალი აქტივობა.
- ბესარიონ ალავიძე არის სპეციალური სალექციო კურსის თანაავტორი მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის - „კომუნიკაციების სტანდარტები სასამართლო სხდომის დარბაზში.";
- კანდიდატი ასევე არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარების თანაავტორი და სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების (პრაქტიკული სახელმძღვანელო) თანაავტორი.

კანდიდატს აკადემიური მიღწევები არა აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **4 ქულით.**

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

- 2011-2015 წლებში კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში;
- კანდიდატი ამჟამად არის სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ-ცენტრის ტრენერი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **4 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 89 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 18.11.2021 წ.